კვირა, 9 დეკემბერი 1928 წ. № 182 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## იმპერიალისტურ დიპლომატიის „ფონზე“

ნახ. ნადარეიშვილის




პირობები საცვეთია,—
პოლიტიკა ასეთია

E-925

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნახ. მარიაშის.



გიგოჯან! სამი კვირეა რაღა, რაც ამ განათლების სახლში ვზივარ. მედაჩემმა ღმერთმა თავი მენანება ასეთ ფუქსავატ რამეზე რომ ჩავარდი. სამოცი წლის გადაყრუებული ბებერი გავჭყლიტე. რა მოხდა?! მითომ მეც თამამშევის ქარვასლა დამინგრევია აი!

ბრა, მე ხო ამას აინუნში არ ვიგდებ, მაგრამ მაინც ბრაზი მომდის იცი რაზე? იმ უსიფათო ვირისთავმა (გამომძიებელმა რაღა) ისე გააზვიადა საქმე, თითქოს შახტის ბოროტმოქმედება ჩამედინოს. ჩემი ბრალი რომ ყოფილიყო მაინცა, ვინ შერცხვენილი, კრინტი ამომეღო. მე განა არა ვხედამდი, რო უშნოთ მოფრატუნებდა შუა ქუჩაზე?! ჩემმა მზემ, ისე ბრაზი მომივიდა! ვფიქრობ: ვა, ე ბედასლი ვიღაცაა ალბათ თავი მოსძულებია მეთქი!

ჩემმა მზემ, გიგოჯან, ერთი სამჯერ მაინც მოვასწარი ჩემი „ზოროტოტას" დაყვირება, მაგრამ შენც არ მომიკვდე, იმას ყური არ გაუბერტყია. წერას რო აუტანია კაცი—რაღას გააწყობ, ძმაოჯან! ბაიყუში პროკურორი გამოსულა და მისაყვედურებს: რატომ არ შეანელეო? როგორ ეტყობა რომ შოფერობის თავფეხისა არაფერი გაეგება. შეანელე რა, ლილახანობაა!?..

მართლა, გიგოჯან, იცი რა ხოშით მოვქროდი?! რომ დაგენახე, ჩემმა მზემ, გამაჩერებდი და შიგ შუბლში მაკოცებდი. მოვდიოდი, მაგრამ რას მოვდიოდი! სუ ბდღვირს ვაყენებდი არემარესა. მოდი ასე ხოშიანათ კაცი მოქროდეს და უცებ შეანელო რომელღაც დამბლა მოხუცის წინა! ეე, ზნელა! მა რიღას შოფერი ვარ! ძმაბიჭებში აღარ მინდა პური მეჭმეოდეს?!

გიგოჯან! რაღა გავაგრძელო! ი დამბლას კი ნაჭყაპურტები გამოვადინე, მაგრამ ემ არამკითხე ჭირისუფლებმა ლამის სანანებელი გამიხადონ ასეთი ჩემი გათარეშება. ერთი წელიწადი მომისაჯეს. ექვს თვეზე ჩამოიყვანეს. მე კი იმედი მაქვს—ერთი ორი თვის შემდეგ გამოვიდე.

რა გიშავს ყურუმსალო! მე აქ ბუზებს ვითვლი, შენ კი გიჟურათ დაჭქრიხარ ქალაქის ქუჩებში. ეგეც მოსავალია რაღა! ვირისთაო, მე წირვა გამოსულ ბებრისათვის აქ ლამის სამი თვე უნდა ვიჯდე, შენ კი... ვაა! რა კარგა გაძვერი ორჯელვე! ვითამ ორი ბავშის მაგიერ — ორი ჯიანჭველა გაგიჭყლეტია რაღა! ეგეც ბედი ყოფილა! მახლას, რა გაეწყობა!

ეხლა ე ჩვენ ანდალზახანზეც მინდა ერთი-ორი სიტყვა დავზაროჯო.

ჩვენი ოხერი შაქროა, აი ოქროაშვილი (თეთრი დუქნის გმირი, რაღა) ეხლა აქა ბრძანდება. რომ მოიყვანეს, ერთი ისეთი ჩავაფუენთზე, მიკვირს ცხვირი პირზე არ მიეჭყლიტა ახალწლის ბასილასავით. არა, ვირისთავმა ისე ლაზათიანად მილეწ-მოლეწა იმის გზაზე გაგრიელთ ჩაჩხირული ურემი. არც კამეჩებს დააყარა კაი დღე, პატრონს ხომ კიდევ უარესი. მერე იმდენი ბიჭობა იხმარა, რომ მშვიდათა და უმტკივნეულოთ გაასწრო და ეს ჩათლახი მეორე დღეს ჩავარდა! ვაი, არამი იყვეს ამაზე ი თეთრი დუქნის პურ-ღვინო, თუ ამაზე მეტი შნო აღარა ჰქონია.

არა ჰგვანებია ჩვენ კოლეგასა—აი ბოლო კვირას რომ ვარანცოვთან გაუჭყლეტია ბავში და მიმალულა უგზოუკვლოდ. ვენაცვალე იმას მარიფათში. ნეტა გამაგებინა, ვინ არის და ვინ შერცხვენილი—ქვეყნის ვალი არ დავიდო და ისე არ ვაქეიფო ერთი თალია ლაზათიანათა.

ჰაა, აგერ ეხლაც ახალ-ახალი რამე წავიკითხე, აი! თავის თავად დიდი არაფერია! ჩვენ ასეთი რაღა უნდა გაგვიკვირდეს, გიგოჯან! მაგრამ მაინც შახიანი ბიჭი კი ყოფილა ეს კრილენკო ვიღაცაა აი! ვაჰ! ორ ტრამვაის შუაში მოყვე, მაშინა მილეწო, მგზავრები დაიხოცონ და შენ უვნებლად გადარჩე! ჯან, ბიჭოჯან! ჩემმა მზემ ალალია იმაზე ჩოფურაშვილთან ერთი შახიანი ჩაქეიფება.

დღევანდელ გაზეთში კიდევ ერთი ხურდაც არის: ერთი ახალგაზრდა გაუგზავნიათ რაღა დაუბრუნებელ ადგილას. მერე იცი ვისა? ზუმბაროვსა რაღა! იმას ამდენი შნო ვინ მისცა კაცო! აქამდის სულ ლაჩრულათ დადიოდა. ძლივს ერთხელ გამოიჩინა რაღა მარიფათი. ეხლა კი




# სამართლიანი საყვედური

ნახ. მარიაშის.

გრიგოლ რობაქიძე თავის წერილებში: ტოლსტოის დღეები“ („მნათობი“ №№ 8—9, 10), ლაპარაკობს მხოლოდ თავისთავზე და სტ. ცვაიგზე. მკითხველი.

**ტოლსტოი** (რობაქიძეს): — შე კაი კაცო, ერთხელ მაინც გეხსენებია ჩემი სახელი!

შეიძლება ჩავწეროთ ჩვენს ამქარში. როგორც იქნა დაიმსახურა, რას იზამ, უარი აღარ ეთქმის.

შენა, შე ყურუმსაღო! რა მოგივიდა? ერთ-ორჯერ მაინც აღარ გაგივლია ზარხოშათ? ან ისე დაშინდი ვირის თაო, რომ უცოდველივით დადიხარ შენი „კადელაკითა“? მა როგორ მოხდა, ერთხელ შენც აღარ გაგიწყრა ღმერთი? მაგრამ შენ ხომ სხვა ანგალი რამე ხარ: ვინ იცის იმ ორ ფაცანას კიდევ რამდენი მიაყოლე და ყველა ხათაბალიდან მშრალათ გამოდიხარ იხვივითა.

გიგოჯან! ძმაოჯან! შე ყურუმსაღო მოდი რაღა! მოდი ერთხელ მაინცა მნახე და პირში ჩამაფურთხე, რომ ესე ბაიყუშად ჩავარდი ერთი დამბლა ბებრუხუნასათვინა. კაცი მაინც ყოფილიყო! დაჩლუტულ ტიკჭორასა ჰგავდა!

ეხ, ნეტა ვინმე იყვეს, ერთი კაი სილა გამაწნას და მითხრას: — ვირისთაო, გაჭყლეტა რო გეხერხება, რატომ დამალვა აღარ გეხერხებაო.

გამარტყას! ახია! ჭკუას ვისწავლი!

დედაკაცი ვიყო, თუ გამოსვლის დღესვე კარგ შეზარხოშებულ გუნებაზე ერთი ვისმეს არ გავუგალე თავი. მაგრამ თუ კიდევ ასეთი სია რამე გამოვდექი და ხელში ჩაუვარდი, მაშინ, თუნდაც დამხვრიტონ—ალალია! ჩათლახი კაცი ღირსია ყველაფრისა!

ვაჰ, გიგოჯან! სადღეგრძელოში დამივიწყე, ოღონდ რუსთაველზე რო 90 კილომეტრის სიჩქარით მიაჭენებდე, მაშინ მომიგონე, ძმაოჯან, მაშინ მომიგონე შენი საწყალი ძმა და პირის ზიარება...

**ნადირი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპილო საერისთაოზე

## მიბაძვა კრილოვისა

„სპილო იჯდა ერისთავად
ერთს უდაბურს ტყეში“..
ზოგი „თავი“ ბევრგან ახლაც
არის „სპილოს“ დღეში!
„სპილოს“, ვიცით, მგელზე ცხვრებმა
რომ მიართვეს არზა,
რამაც „სპილო“, გულკეთილი,
მეტად გააბრაზა.
და მგლის დასჯა მოინდომა
გულკეთილმა სპილომ,
ვით ამას წინ ერთმა „თავმაც“,
სცადა, სასაცილომ,
როცა დაბალ მსახურების
წინ წარუდგა რემა...
დააფიქრა მათმა ქცევამ,
მათმა სიგამხდრემა!..
მოითხოვდენ დასჯას მნისა,
ლოთის, მუდამ მსმელის,
შრომის ფასი რომ გაუფცქვნა
და სპეცტანსაცმელის:..
მოითხოვდენ მის დასჯას და
„თავიც“ გასწყრა მნეზე,
მნე კი არა, თითქოს ქურდი
დაიჭირა მთხლეზე:
— მაცათ! მაცათ! მაცათ, აბა,
ვით დავზილო ისა!
მთასაც რომ სწვდეს შიშის ქარ-
მი·ი ცივი ხმისა!..
მაგრამ როცა მნეც წარმოსდგა
ჩოთქით, ხელში — დავთრით
და აუხსნა ვითარება
ენის გადმოფართვლით,
მაშინ „თავმაც“ დაბალ მსახურთ
შესწყრა — შეუზახა:
„აკი ეს მნე თქვენთაგანმა
ერთმა ჩემთანაც ნახა!
რესტორანში რომ ვისხედით
ერთად, მუსაიფით,
ყანწით არა, ჩვენ იქ ღვინოს
მივირთმევდით ჭიქით!
და სჩანს, რომ მნე მართალია!
ვის უნახავს მთვრალი?!
სპილომც ასე გაამართლა
მგელი, ხახა-მყრალი,
საკითხი რომ ეხებოდა
საქმეს, უკვე წამხდარს,
სპილოს ნებით მგლისგან ცხვრებზე
თითო ტყავის აზდას:
— თითო ტყავი? მაშ, ეგეც
გშურთ?
მართალია მგელი!
ცხვარიც რომ ალაპარაკდა
აგი საძაგელი!..
ბრძანა სპილომ, ლმობიერმა,
და ცხვრებს გადახედა,
ამ ლმობიერებამ ცხვრებიც
რომ დააიმედა...
დაბალ მოსამსახურეთაც
კვლავ ამოთქმდა რემა:
—სპეც-ტანსაცმელს ვითხოვთ მნისგან.
გასჭირდა მოცემა!
— სპეც-ტანსაცმელს? ჰო, ეს, მგონი,
ავით ლენინმაც ბრძანა
და მნე ამას არ ასრულებს.
აგი სალახანა?!
დამიძახეთ მნეს ამავ წამს!!!
მნეც წარმოსდგა წინა,
ჯერ დავთარი გადაშალა,
შემდეგ „თავს“ შესცინა:
—სპეც-ტანსაცმელს ვინ დაუჭერს?
მხოლოდ ამის ფული
ვაბინეტის მოწყობაში
თქვენ გაქვთ გახარჯული!..
— კაბინეტის?.. ესე იგი,
ვეთილმოწყობაში?
სჩანს, აქ ისევ „რემა“ სტყუის,
ქაჯი უზისთ ყბაში!
მნე აქ ცამდის მართალია!..
აქ მოასხით „რემა“,
თუ თავი არ გაიმართლეს,
არ ასცდებათ ცემა!..
სწორედ ისე, როგორც სპილო
გასწყრა პირველ მგელზე,
შემდეგ მან მგელს დაუყვავა
და ცხვრებს დაჰკრა წელზე...
დაჰკრა წელზე.., მაგრამ წელი
როცა ჩაილუნა,
გახდა სპილო, როგორც მტრედი,
და დაიღუღუნა:
— წელს თუ მოვსწყვეტ, მაშინ, ვაი,
ხომ დავრჩი უცხვაროთ?
მგლებო, გესმით:ერთ ტყავს გარდა,
თმაც არ შეუხაროთ,
თორემ თქვენდა სამწუხაროდ
კვლავ გასწყრება სპილო!!!
მნეზეც ასე დონკიხოტობს
„თავი“, სასაცილო:
— ამის შემდეგ კაბინეტზე
არ გაილოთ გროში!
ფულებს გასცემთ სპეც-სამოსზე,
თუა სალაროში...
სალაროში თუა, ჰო... კი..,
მნეც გაიღებს მაშინ,
რა თქმა უნდა, თუ სხვა აზრმა
„თავს“ არ გაჰკრა თავში,
და ფულები კვლავ სხვა რამეს
მან არ მოახმარა...
ზოგი „თავის“ ასალაგმავად
რა ალვირი კმარა?!.
აქ უეჭვო გარანტია
მნეს ვინ მისცა ჩვენში?
სიღარიბე, თუა ქოხში,
მჭვარტლიც გახლავთ სხვენში!
იქ დაბალი წვრილ ფეხობაც,
როგორც ცხვრების ფარა,
თვის შელახულ უფლებებს თუ
სჩივის წარა-მარა,
აქ ხომ „თავიც“ მართალია
და მნეც — თავის დროზე..
მგელი მგლობს და სპილო კი ზის...
საერისთაოზე!..

ჯაზირა.

# „ადს“

იშვიათად ნახავთ სოფლად ისეთ ადგილს, სადაც შარა-გზების გზაჯვარედინზე კოოპერატივი არ იყოს.

ეს კოოპერატივები უმეტესად მოთავსებული არიან დუქნებში, რომლებიც უწინ სოფლის ჩარჩებს ეკუთვნოდათ.

— აქ ძალიან სავაჭრო სენთია! *) —გაიფიქრებდა შეძლებული სოფლელი და აწყობდა სავაჭროს.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ასეთ ადგილას არის სასოფლო დაწესებულებები: აღმასკომი, სკოლა, საექიმო პუნქტი. კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, სამკითხველო და სხვა.

ალბად ამიტომ წუწუნებდა კოოპერატივის წინ თავმოყრილ სოფლელებში ერთი შეჭაღარებული, კარგად შენახული და გვარიანად ჩაცმული სოფლელი:

— რა გიჭირთ რა! ამ ოცი წლის წინედ ამ ალაგს „ტურის საქორწილოს“ ეძახდენ,— ტურები აქ სჭამდენ სოფელში მოტაცებულ ქათმებსა და ბატებს. ახლა კი ნამდვილი ქალაქია, ნამდვილი ბაზარი. ეს სულ ჩემი წყალობით არის... პირველად მე გავხსენი აქ დუქანი და აი თქვენი კოოპერატივის შენობა მე ავაგე...

— სამაგიეროდ, სოფრომ, შენი სახელი უნდა დავარქვათ ამ ჩვენს ქალაქს: „სოფრომგრადი“! — დაცინვით წამოიძახა ერთმა, რომელმაც ჩიბუხი პირიდან გამოიღო და განზე გააფურთხა.

— ქვეყანა წახდა, თორემ შენ ასე არ უნდა მკადრებდე. არ გახსოვს — ყოველთვის გაძლევდი ნისიას და...

—... და ტყავს მაძრობდი!

— ბიჭო, ვის რად უნდა შენი ტყავი? ტყავი კი არა, შენი თავი არ ვარგა არაფრად!

— არა-და შენი სჯობია, შენმა სიცოცხლემ! შენი თავისანა ასი თავი რომ გადაადუღო, ერთ ჩემი თავისთანა თავს მაინც ვერ მიიღებ!

— სოფრომ, რა გადარდებს, კაცო?! მართალია: ამ ჩვენს „ქალაქს“ შენი სახელი არ ვუწოდეთ, მაგრამ ერთ ძეგლს მაინც კი დაგიდგმათ...

— აი, იმის თავზე ე!—დაუმატა პირველმა და ხელი გაუშვირა ფეხსალაგისაკენ, რომლის სახურავზე უკვე მოსჩანდა ნახშირით დანახატი სოფრომის სურათი და ამ საპატიო შენობის კარებზე დიდი ასოებით სოფრომის სახელი.

— რა გიჭირთ, ბიძია, რა! დამცანეთ. ბურთი და მოედანი თქვენ დაგრჩათ!—ბრაზს იმაგრებდა და თავს ისე იჭერდა, თითქოს არ გრძნობდა თავს შეურაცყოფილად ამ „ხუმრობის“ გეო.—ვილაცეებს რომ უდგამთ ძეგლებს, რავა, მე მათზე ნაკლები საქმე გავაკეთე ამ სოფლისათვის თუ? პირველად მე გავხსენი აქ დუქანი. ეხლა კი ასეთი ქალაქია. მაგრამ თქვენ ძეგლს დამიდგამთ კი არა, ხმის უფლებაც არ მომეცით არჩევნებში...

*) მოხერხებული ადგილი.

წვიმა ისევ მოდიოდა.

კოოპერატივის წინ ხალხი თანდათან მატულობდა.

— ნეტა გაზეთი თუ მოიტანეს? — იკითხა ერთმა.

— რა დროს გაზეთია! ახლა ძველი მთვარეა. გაზეთი კი ახალ მთვარეზე მოაქვს ჩვენს გერასიმეს *).

— კი, მარა ავდარია და ეგებ მოიტანა-მეთქი!

—ავდარში კერასთან ზის და ცეცხლს ითბობს!

— ტყვილად გონია. გერასიმემ ავდარში იცის ფოსტის მოტანა, თორემ დარში არ სცალია—სახლში მუშაობს.

— ამას წინედ გერასიმე ტალახში ჩავარდნილიყო და ჩურჩხელასავით ამოსვრილიყო. ჯავრობდა: „თუ გზები არ გააკეთეთ, ფოსტას აღარ მოვიტან“-ო.

—მართლაც: საძაგელი გზები ყოფილა თქვენში... რატომ არ აკეთებთ?

— კი გავაკეთებთ, ბატონო, მარა ასეთ ავდარში როგორ შეიძლება მუშაობა!

— როცა კარგი დარია, მაშინ გააკეთეთ!!

— კი, ბატონო, მარა კარგ დარში სახლში გვაქვს სამუშაო და გზებისათვის ვეღარ მოვიცალეთ!..

სწორედ ამ დროს გერასიმემ ცხენი მოაგდო კოოპერატივთან და ფოსტა მოიტანა.

— აკი ვამბობდი, რომ გერასიმე ყოჩაღია-მეთქი, და თქვენ არ გჯეროდათ. აი, ხომ ხედავთ ახლა?!

— შშშენ მმმასხრობის ხხხხასიათზე ხარ, მე კი მთლად დავსველდი! — ისაყვედურა გერასიმემ, რომელსაც სიცივისაგან ენა მთლად დაბმოდა.

— ნუ გეშინია, შაქარი არა ხარ რომ დადნე!

— აბა, წაგვიკითხე, გერონტი! — მიმართეს სოფლელებმა სოფლის სტუდენტს.

ძველი გაზეთი იყო, ხუთმეტი დღის წინანდელი, რომლის ნომერი ქალაქში მქონდა წაკითხული.

სტუდენტმა დაიწყო დეპეშების კითხვა.

ყოველი დეპეშის დასრულების შემდეგ ის აყოლებდა სიტყვა „ადს“, რომელიც სწერია ყოველ დეპეშის დასასრულს.

— ვინ არის, ნეტა, ეს ვილაც „ადს“-ია, რომ ყველა ქვეყნის ამბები ასე კარგად იცის?!—ჰკითხა ჩუმად ერთმა მეორეს.

— არ ვიცი, ვინ არის, ალბად ვინმე ნასწავლი პროფესორია!

*) ფოსტის შიკრიკი

„სტუდენტი“ (ამიერიდან ნება გვიბოძეთ სტუდენტი ბრჭყალებში მოვათავსოთ) ისევ განაგრძობდა დეპეშების კითხვას ბოლოში „ადს“-ის დატანებით.

— არ მინდა თავი ცოცხალი, თუ არ გავიგე მაგ ვილაც „ადს“-ია! — სთქვა ერთმა და „სტუდენტს“ შეეკითხა:—გერონტი, თუ კაცი ხარ მითხარი: ვინ არის მაგ ვილაც „ადს“-ია, რომ ყველა ქვეყნის ამბები ისე იცის, როგორც ჩვენმა ხუცესმა „მამაო ჩვენო“?!

მოულოდნელი (და თანაც გაუგებარი) იყო „სტუდენტისათვის“ ეს შეკითხვა, მაგრამ ის მაინც არ დაიბნა:

—„ადს“ არის დიდი ნასწავლი კაცი, რომელიც გაზეთის კორესპონდენტია და იცის.

— პროფესორი ყოფილა!

— კი, რატომ!.. პროფესორია! — დაუდასტურა „სტუდენტმა“ და ისევ განაგრძო კითხვა.

— მეც ასე ვფიქრობდი! — კმაყოფილებით სთქვა შემკითხველმა.

— კაცი ვარ-ო, იმან უნდა სთქვას! კი ყოფილა რომ უნდა ისეთი! — უკვირდათ ზოგიერთებს.

ქვეშ-ქვეშ გამეცინა და ვიფიქრე: — ავუხსნი ამ სიტყვის მნიშვნელობას... მაგრამ „სტუდენტს“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებ... არა-და, რატომ არ უნდა იცოდენ სოფლელებმა (და მით უფრო „სტუდენტმა“) ამ სამი ასოს მნიშვნელობა?!—დავაპირე თქმა, მაგრამ უცბად თავში გამიელვა:—„ტარტაროზში“ დავსწერ ამ ამბავს, წაიკითხავენ და გაიგებენ, რომ „ადს“ ნიშნავს: **ა**მიერ-კავკასიის **დ**ეპეშათა **ს**ააგენტო.

ისელი.

ნახ. ხვანის.



აკაკი ფალავა:

**ჩემს სტუდიაში გამოზრდილი მსახიობები რეჟისორები გახდენ, მე კი...**

# დატვირთული „ზავი“

ხშირად ჩვენში „ერთგულ“ კაცის
არ აგდებენ ამაგს არად,
ყბად იღებენ, წუნს დასდებენ,
აცხადებენ აბეზარად.
თუ ეჭვი გაქვთ და თუ ფიქრობთ,
რომ გიყვებით რამე ჭორებს,—
ყური მიგდეთ: ეს ამბავი
ყველა ეჭვებს აგაშორებს.
იყო ერთი დინჯი კაცი,
(ეხლაც ცოცხლობს იგი, მგონი),
ზედმიწევნით ერთგული და
ხასიათის მტკიცის მქონი.
დიდი ჰქონდა მორიდება
კანონის და დეკრეტების;
(თან უყვარდა გამრავლება
საათების „ზედმეტების“).
ინსტრუქციებს ასრულებდა
ზედმიწევნით ზუსტად, სწორად.
(შემოკლების ნაცვლად შტატებს
ადიდებადა ერთი-ორად),
ქაღალდების შესრულება
უკეთესად ვინ იცოდა.
უფროსობაც მტკიცე ჰქონდა:
მის წინაშე ყველა ძრწოდა.
„უდოკლადოთ“ მასთან შესვლა
იქ ვერავის გაებედა.
კარს დარაჯი ედგა მუდამ
და ეწერა კარებზედა:
გამგე იღებს: საქმეთ მმართველს
თერთმეტიდან თორმეტამდე“
საქმმართველის მოადგილეს —
თორმეტიდან პირველამდე“...
პირველიდან — „ნაჩკანცია“,
ორზე „ზამის“ არის რიგი;
სამზე გამგე დაღლილია
და სახლისკენ მიდის იგი.



— მოსდებია საწყობს ალი.

ცერძო მთხოვნელს თუ საქმე აქვს.
ნუ ღელავს და ნუ ცხარდება,
მისცეს მთავარ რეგისტრატორს
წერილობით განცხადება.
ის გადასცემს „ჟურნალისტკას“,
ის კი საქმის-მწარმოებელს,
ის „ნაჩკანცის“ მოადგილეს,
(„ვოლოკიტის“ დიდათ მჭმობელს“);
იგი ნაჩკანცს მოახსენებს,
„ნაჩკანცი“ კი (ასე მჯერა)
საქმმართველის „მოადგილეს“
მოახსენებს, სხვას თუ ვერა.
მოადგილე — საქმეთ-მმართველს
თავის დასკვნებს მოახსენებს.
საქმმართველი იმ ქაღალდებს
მაგიდაში მოასვენებს.
შემდეგ იგი პირველ „ზამზავს“
ორიოდეს ეტყვის სიტყვას;
გამგესთანაც მივა საქმე,
(ძლიერ „ჩქარა“ უნდა ითქვას),
გამგე ქაღალდს განიხილავს
გაუკეთებს ზედ წარწერას
(წითელ მელნით ცრემლით ნაწერს
ირიბულად გადასერავს)
დააბრუნებს შემდევ უკან
იმავე რიგით, იმავ წესით;
კმაყოფილი უნდა დარჩეს
ყველა ამგვარ ხვნათ და თესვით.
ამნაირი თადარიგი
მუყაითმა შექმნა კაცმა:
ერთგულმა და საქმის მცოდნემ,
საბმუშაკმა „მოხატაცმა“,
მაგრამ არვინ აფასებდა
ამ იშვიათ ერთგულ მუშაკს:
— უკეთესი რადგან არ გვყავს, —
ამბობდენ: — ჰე, არა უშავს!“
ერთხელ ამ კაცს, სულ შემთხვევით
მოენახა საშვალება,
ნათელ იყო წესისადმი
ერთგულება, მორჩილება.
უწყებაში ცეცხლი გაჩნდა:
მოეკიდა საწყობს ალი,
სულ შემთხვევით მოჰკრა მგზავრმა
კატასტროფას ამ გვარს თვალი.
გაეშურა სირბილით და
კანტორაში შეჰყო თავი,
იქ დაუხვდა დიდი საქმით
დატვირთული ჩვენი „ზავი“.
— ცეცხლი გაჩნდა, — დაიყვირა, —
მოსდებია საწყობს ალი,
მიაშველეთ მეხანძრენი,
მიაშველეთ ჩქარა წყალი!
— რას ღრიალებ? — შეუძახეს, —
შენ რა იცი წესი, რიგი?
ხვალ მიგიღებს გამგე, ხვალე,
დღეს „უპრავლელის“ უსმენს იგი“;
— ხანძარია, მოეკიდა,
გეუბნებით, ცეცხლი საწყობს!
— ბევრს ნუ ყბედობ, რა როგორ სჯობს
გამგის უკეთ შენ შეატყობ?!
ხვალ შემოდი, არ სცალიან,
საქმითაა დატვირთული.
— კაცო, ცეცხლმა მოსპო უკვე
იმ საწყობის ზესართული!
— არ გესმის, რომ არ სცალია?!



— ხანძარია, მოეკიდა!
— შემოიტა განცხადება.

ნახე კარზე რა სწერია!!
კერძო მთხოვნელს დღეს არ იღებს,
(ერთი ნახეთ, რა შტერია!)
— სახლი იწვის, შე ურჯულო,
ხედავ, ცეცხლი მთლად ედება!
არ იქნება ამ გვარ საქმის
თუნდაც წუთით გადადება.
— არ იქნება, ჰო, მაშ, კარგი.
შემოიტა განცხადება,
არ გამოგრჩეს იმ თხოვნაზე
ღერბის მარკის დაწებება“.
ხშირად ჩვენში, ერთგულ კაცის
არ აგდებენ ამაგს არად,
მე ვიცი, რომ ის „მუშაკი“
თქვენც გალანძღეთ ათასგვარად.
რატომ? რისთვის? ჩემის აზრით,
გინებაა უმართებლო.
იმ მუშაკმა ჩაიდინა
საქმე ფრიად სასარგებლო.
მართალია: ის საწყობი
გადაიქცა ნაცარ-ტუტად,
მაგრამ გამგის „ერთგულება“
არ ჩატარდა მაინც ფუჭად.
აწი ყველა დაისწავლის:
თავის დრო აქვს საქმეს ყველას,
უდროო დროს, თუნდ იწოდეს,
ნუ მოელი მისგან შველას.
აწი ყველა დაისწავლის,
რომ უტვინო ზოგი თავი,
ხანძარს უნდა მივსცეთ ლუკმად,
რაც უნდ დიდი იყოს „ზავი“.

ხოზიკა.

# წინდაუხედავათ წინ დახედვა

ნახ. ტაბატაძის.



— ვა, ეს ვინაა, ჩვენი ადგილი რომ დაუჭერია და ისიც ასე ზორბათ?!.
— სუ, კაცო, რასა ყვირი, ხომ იცი, ჩვენი გამგის ცოლია!...

საწარმოო თათბირის მდივანი, თათბირის [illegible] შეუდგა თათბირის წინანდელი დადგენილებების ძებნას და ჩვენთვის უკვე ნაცნობ კანცელარიის დარბაზში ამოჰყო თავი.

— აქ ჩვენი თათბირის რამოდენიმე დადგენილებაა ერთი და იმავე საკითხის შესახებ — მიმართა მან დაწესებულების გამგეს.

— მე არაფერი მიმიღია, მიმართეთ ჩემს მოადგილეს! — იყო პასუხი.

მდივანი მოადგილესთან შევიდა.

— ხომ არ გახსოვთ ჩვენი საწარმოო თათბირის დადგენილებები?

— არაფერიც არ ვიცი, ალბათ საქმეთა-მმართველს ექნება! — უპასუხა ცივად მოადგილემ.

მდივანი საქმეთა-მმართველს მიადგა.

— ერთი თუ კაცი ხარ, აქ ჩვენი თათბირის დადგენილებებია და მომინახეთ!

საქმეთა-მმართველმა თავი მოიქექა:

— შეიძლება იურის კონსულტს ქონდეს!

— საიდან, ძმაო?—აღშფოთდა იურისკონსულტი, — საწარმოო თათბირის დადგენილებებთან მე რა მესაქმება? ალბათ საქმისმწარმოებელს თუ აქვს.

საქმისმწარმოებელს კბილი სტკიოდა და სრულებით არ იყო განწყობილი საქმეების პოსაძებნათ. მან ერთი შეუღრინა საწარმოო თათბირის მდივანს და რეგისტრატორებისაკენ გადაუქნია თავი.

— ისედაც გადატვირთული ვართ საქმეებით, აქ კიდევ ეს კაცი მოგვადგა, — აბუზღუნდენ რეგისტრატორები მდივნის თხოვნაზე და შეუდგენ დადგენილებების ძებნას.

ძებნა სრულ 3 საათს გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოთ.

— დაიკარგა ალბათ, დაწერეთ ახალი!

— რის ახალი, რას ამბობთ!— აყვირდა მოთმინებიდან გამოსული მდივანი, — ახლავე დადგენილებები მომიძებნეთ. თორემ...

უცებ ერთ რეგისტრატორს სახე გაუბრწყინდა და ოთახიდან გავარდა.

რეგისტრატორი გამარჯვებული სახით დაბრუნდა და შეკრული ბოღჩა შემოიტანა.

— ვიცოდი იქ იქნებოდა... კიდევ კარგი რომ გამახსენდა! — გახარებული ამბობდა იგი.

— სად იყო, ყმაწვილო, სად?

— არქივში ბატონო, არქივში, აბა სად იქნებოდა სხვაგან...

კანცელარიაში მთელი კვირა რეგისტრატორის მეხსიერებაზე ლაპარაკობდენ და იმასაც დაქინებით ამბობდენ, რომ მას დაწინაურება მოელის-ო.

ალლარ-ალლარსან.

# არქივის წიაღში

საწარმოო თათბირების დადგენილება ხშირად კანცელარიებში იკარგება.

**სინამდვილიდან.**

**...„ამიტომ საწარმოო თათბირი აუცილებელ საჭიროდ სცნობს შეძენილ იქნას ორი ახალი დაზგა, გადაკეთდეს ჩამომსხმელი საამქრო და მოეწყოს ვენტილიაცია, ურომლისოდ ძნელი ხდება ქარხნის შენობაში მუშაობა“.**

ასე თავდებოდა საწარმოო თათბირის დადგენილება, რომელიც ერთხმად მიიღო რათბირმა.

ეს იყო 1925 წლის დასაწყისში.

დადგენილება საწარმოო თათბირის მდივანმა წაიღო და რაღაც სამიოდე თვეში „ჩამოაყალიბა“, შეუთანხმა თავმჯდომარეს და ქარხნის ადმინისტრაციას გადასცა. ამ უკანასკნელმა სათანადო დაწესებულებაში გადაგზავნა, სადაც იგი პირველად რეგისტრატორის მზრუნველ კალათში მოექცა.

ჩვენ ვიცით, რომ კანცელარიაში მოხვედრილი ქაღალდი, რეგისტრატორს და საქმეთა-მმართველს ადვილათ ვერ დაუძვრება ხელიდან განსაზღვრული ვადის განვავლობაში.

მართლაც, საწარმოო თათბირის დადგენილება წყეულ რკალში მოექცა. იგი ერთი მაგიდიდან მეორეზე დასეირნობდა და ახალი რეზოლიუციებით ივსებოდა ისი სიგრძე და განი.

ეს ამბავი, როგორც ვიცით, 1925 წლის დასაწყისში მოხდა.

1926 წლის დასაწყისში ჩვენ ვკითხულობთ იმავე ქარხნის იმავე საწარმოო თათბირის დადგენილებაში:

**...„განმეორებით იქნა საჭიროდ ცნობილი ახალ დაზგების შეძენა, ვენტილიაციის მოწყობა და საამქროს გადახალისება“.**

მდივანმა ეს დადგენილებაც ჩამოაყალიბა, იურიდიულათ გააფორმა (როგორც იტყვიან ხოლმე ჩვენი რეცენზიებში), შეათანხმა, დაამუშავა და ადმინისტრაციას გადასცა. იქიდან დადგენილებამ იმავე კანცელარიაში ამოჰყო თავი და კიდევ უფრო დატვირთა ისედაც გადატვირთული რეგისტრატორები. ახალი დადგენილებაც იმავე „საქმეში“ ჩაკერდა, რომელშიაც 1925 წლის დადგენილება განისვენებდა.

გავიდა კიდევ ერთი წელი. 1927-მა წელმა ახალი დადგენილებით გაამდიდრა კანცელარია და კიდევ უფრო გადატვირთა შრომის ოფლში მცურავი კანცელარიის მუშაკნი. ეს იყო იმავე საწარმოო თათბირის დადგენილება, რომელიც ძველ რეზოლიუციებთან ერთად საქმეში ჩააკერეს, საქმისთვის მსვლელობის მისაცემად.

1928 წლის მიწურულში საწარმოო თათბირმა დაადგინა შეემოწმებინა თავისი დადგენილების შესრულების მსვლელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ ნიკორას ჩივილი

ნახ. დონის.

„კახეთში უქმად იდგა ოცამდე ტრაქტორი მხოლოდ იმიტომ, რომ არ იყო ხათბობი მასალა. ეს ხდება საქართველოში, ნავთის ქვეყნის — აზერბეიჯანის მეზობლად“.. (გაზეთებიდან)



ატირდა ხარი ნიკორა მარგალიტისა ცრემლითა;
გვაბამენ რკინის ტრაქტორში, გვერეკებიან ცემითა.

# დ ე პ ე შ ა

## თარგმანი რუსულიდან

ნექტაროვმა დაწესებულებაში, სადაც ის მოანგარიშედ მსახურობდა, მოსკოვიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა:

> **თანახმა ვარ, ჩამოდით**
> **კალინინი**

- საზოგადოდ, დაწესებულების თანამშრომლები არა თუ დეპეშას, წერილებსაც კი არ ღებულობდენ დაწესებულებების მისამართით. ამიტომ „დიდი ამბავი“ იყო ნექტაროვის სახელზე დაწესებულებაში დეპეშის მიღება. ცნობისმოყვარე მდივანმა დეპეშა გახსნა და წაკითხვისთანავე გამგესთან შევარდა და მოახსენა:

— ამას ხედავთ?!

— ვინ არის ეს ნექტაროვი?—იკითხა გამგემ, როცა დეპეშა წაიკითხა.

— ჩვენი მოანგარიშეა! აი, ის დასათხოვ სიაში რომ გვყავს შეტანილი!

—ჰააა!—შეშმუშვნით სთქვა გამგემ,—დამიძახეთ აქ!

— აქ წუთში!

—არა, დაიცადე,—შეაჩერა გამგემ მდივანი.—გადაეცი ეს დეპეშა და თანაც უთხარი, რომ მე მასთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ნექტაროვმა წაიკითხა დეპეშა და მხიარულად წამოიძახა:

— ყურუმსილს როგორც იქნა, მოვაგონდი!

— მაშ თქვენ მიდიხართ ჩვენგან?

ცოტა ხნის შემდეგ გამგის კაბინეტში ასეთი ლაპარაკი იყო:

— რა გაეწყობა... მივდივარ!—იყო დაბეჯითებითი პასუხი ნექტაროვისაგან.

— მაშ ასე... რომელ დარგში აპირებთ მუშაობას?

— კომუნალურ მეურნეობის დარგში, მხოლოდ და მხოლოდ ამ დარგში... პირველ ყოვლისაგადაწყვეტილი მაქვს ცენტრალური აპარატი გავაძლიერო ადგილებზე მომუშავე ამხანაგებით.

— სწორია. მაგრეც უნდა.—მოუწონა გამგემ.—როდის აპირებთ გამგზავრებას?

— დღეს პარასკევია ხომ? მაშასადამე, კვირას ჩქარი მატარებლით.

ამ საუცხოვო დეპეშის შესახებ ერთი საათის განმავლობაში თითქმის მთელმა ქალაქმა გაიგო.

ნექტაროვთან შემოვარდა აღტაცებული იგრივცევი, სასაკლაოს გამგე და მიულოცა:

— მომილოცავს, მომილოცავს, ძმაო!—თანაც მხრებზე ხელებს სცემდა.—საინტერესოა, რომელ დარგში აპირებთ მუშაობას ცენტრში?

— მხოლოდ და ხოლოდ სასაკლაოს საქმეში. მე დიდი ხანია მაინტერესებდა ეს დარგი. და მგონია, რომ... ყოველ შემთხვევაში მე მოვითხოვ, რომ ცენტრალური აპარატი შეივსოს ადგილებზე მომუშავე მუშაკებით, რომლებიც პროვინციებიდან გადაყვანილ უნდა იქნან ცენტრში...

კალბასის ქარხნის დირექტორს ნექტაროვმა უთხრა, რომ მუშაობას აპირებს მხოლოდ კალბასის დამზადების საქმეში... და ცენტრალურ აპარტში გადმოიყვანს ადგილებზე მომუშავეებს, რომლებიც თავისი ინიციატივით“. და სხვ.

გემოკვების კავშირის სასადილოს გამგე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგე და ბრანდმაიორი ყველანი დარწმუნებული იყვენ, რომ ნექტაროვი ცენტრში იმუშავებდა აუცილებლად მათ სპეციალობაში.

შაბათ საღამოს ნექტაროვის პატარა ოთახი სავსე იყო სტუმრებით.

პირველად ნექტაროვს სიტყვით მიმართა კოლმეურნეობის განყოფილების გამგემ:

— ამხანაგებო, მართალია იუბილე და ყოველგვარი ასეთი ამბები გაუქმებულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ პატივცემით აღვნიშნავთ დაბალ მომუშავის—მოანგარიშის დანიშნულებასა და ღვაწლს. ჩვენ გვიხარია, რომ ჩვენს დაწესებულებაში ნექტაროვები ბევრი არიან.. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ცენტრი გვართმევს საუკეთესო მუშაკებს, როგორიც არის ამხანაგი ნექტაროვი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოანგარიშის საქმე მიუწვდომელ სიმაღლემდე აიყვანა... მიიღე ჩვენგან ეს მცირედი ძღვენი, ჩვენო ძვირფასო მუშაკო... სხვა რა გითხრა, გარდა იმისა, რომ გთხოვო:—დარჩი ჩვენთან... ნუ მიდიხარ... ნუ მიდიხარ!—და გამგემ მაგიდაზე დასდო ვერცხლის საათი.

ასეთივე პათეთიური სიტყვით მიმართა ნექტაროვს სასაკლაოს გამგემაც, რომელმაც სიტყვა ასე დაასრულა:—შენი წასვლით ჩვენ გვაკლდება საუკეთესო სპეცი მუშაკი... ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეს გთხოვოთ: —დარჩი ჩვენთან და სასაკლაოს საქმეს სათავეში ჩაუდექი!—და სასაკლაოს გამგემ მაგიდაზე დასდო ფანერის ჩემოდანი.

კალბასის ქარხნის დირექტორმა მიართვა ერთი ყუთი კალბასი. სასადილოს გამგემ—პორტფელი, კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემაც—პორტფელი. ხოლო ბრანდმაიორმა—თუჯის მუზარადი.

ამის შემდეგ სიტყვა ისევ კოლმეურნეობის განყოფილების გამგემ წარმოსთქვა:

— ამხანაგებო, როგორც ყველამ აღვნიშნეთ, ნექტაროვი საუკეთესო მუშაკი ყოფილა და მისი აქედან წასვლა დიდ ზარალს მიაყენებს ჩვენს ქალაქს. ამიტომ, ერთხმად ვსთხოვოთ ყველამ, რომ დარჩეს...

— გთხოვთ.. გთხოვთ დარჩეთ... ნუ მიდიხართ!—ტაშს უკრავდენ ყველანი და სთხოვდენ დარჩენას

ნექტაროვმა ძალღონე მოიკრიფა და ძლივს-ღა წარმოსთქვა, ისიც არეულად.

—ძვირფასო ამხანაგებო... თქვენი ასეთი თბილი მოპყრობა... თქვენი გულწრფელი თხოვნა.. თუ თქვენ მართლაც ასე გინდათ, რომ მე დავრჩე,—თანახმა ვარ: მე დავრჩები... არ მივდივარ.. ანდა რა მინდა იქ?! ეგებ არც კი გამართლდეს იმედი. წავიდე, და ვაი თუ უადგილოდ დავრჩი! ის ფედკა კალინინი, რომლიდანაც დეპეშა მივიღე ენით არის მარჯვე ბიჭი, თორემ საქმეზე თხლეა. არა მგონია, მან მე სამსახურში მომაწყოს.. მე ვრჩები... მართლაც, პროვინციას უფრო ესაჭიროება კარგი მუშაკები, ვიდრე ცენტრს. ამიტომ, ამხანაგებო, მე ვასრულებ თქვენს სურვილს და ვრჩები... ფედკა კალინინის დეპეშას უყურადღებოდ ვსტოვებ... ამხანაგებო, რა მოგივიდათ? რატომ ასე დაჩუმდით? სად მიდიხართ? დაიცადეთ, ჩაის გამოვიტან ამ წუთში! დაიცადეთ! მე არ მივდივარ... თანახმა ვარ დავრჩე...

სტუმრები ყურჩამოყრილი მიიპარებოდენ კარებში.

# ხელოვნების ქრონიკა

**სახელმწიფო ოპერა.**

ჩამოვიდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან ახალი მომღერლები: 4 ტენორი, 3 ბარიტონი, 2 კოლორატურნი სოპრანო და სამი მეცო სოპრანო. ბასები არ არიან გამოწერილი, რადგანაც ამით პარტიას ასრულებენ თითონ ოპერის დირექტორები. ამ დღეებში იდგმება ახალი ოპერა:

„ფინსახკომის ცუდი სიზმარი“

მთავარ როლებს შეასრულებენ ლელი ჯაფარიძე და იტალიელი მომღერალი ქალი სახხაზინა.

**თბილისის მუშათა თეატრი.** „ემიგრანტების“ დადგმასთან დაკავშირებით სრულებით გამოიცვალა თეატრის აუდიტორიის შემადგენლობა. დამსწრეთა შორის ბევრია ყოფილი პოლკოვნიკები, გაკოტრებული ვაჭრები, გაქცეული მემამულეები და სხვადასხვა „ყოფილი ხალხი“. გუშინდელ წარმოდგენაზე აღელვებულმა მაყურებლებმა მოახდინეს ნამდვილი ცრემლების წარღვნა.

**სახკინმრეწვი.** ახალ ატელიეში შესდგა გრანდიოზული კრება იმ თავად-აზნაურებისა და საქართველოს სხვა ყოფილ ბატონ-პატრონებისა, რომლებმაც მონაწილეობა ვერ მიიღეს სახკინმრეწვის უკანასკნელ „ბოევიკში“. კრებამ ერთხმად აღნიშნა სახკინმრეწვის ადმინისტრაციის ახალ შემადგენლობის არა სასურველი „უკლონი“ და მოითხოვს იმნაირ ახალი „ბოევიკის“ დადგმას, რომელიც ჩააბამს საქემში არა ნაკლებ ექვსი ათას უმუშევარ „ინტელიგენციას“.

სახკინმრეწვის გამგეობის გამოანგარიშებით, ეს სურათი დაჯდება 400.000 მანეთი. რადგანაც სახკინმრეწვის მთელი თანხა არის ჩაყრილი ორ „ბოევიკში“ და სახელმწიფო ბანკიც ახალ სესხებზე უარს იძახის, გამგეობა ვერ აკმაყოფილებს მათი ბრწყინვალებების სურვილს.

ამის შემდეგ შეურაცყოფილ კეთილშობილებს გადაუწყვეტიათ მოსკოვში გამგზავრება „მეჟრაბპომის“ დადგმებში მონაწილეობის მისაღებათ.

•ჯაწყებული.

# „წმინდანების“ კრივი

ერთხელ თურმე „ზეციდან“
დაბლა ჩამოსულიყო
„ღვთის მშობელი“ მარიამ—
(„მამა ღმერთის“ სულიკო).
მოკლე კაბა ჩაეცვა,
პირს წაეცხო პამადა,
აღარ ახლდა „ექს მადამს“
ანგელოსთა „კამანდა“.
უპატრონოდ დარჩენილს
„ქალწულს! გული სტკიოდა
და საბჭოთა კანონით
ალიმენტებს სჩიოდა.
„ნარსუდის“ წინ გაჩერდა
ხელთ საჩივრის ქაღალდით,
(რომ გაგევლო, ტარტაროზ
შენი თვალით ნახავდი).
ამ დროს ცის კამარაზე
შეიკრიბენ „მამები“,
(ჩვენი „ბივში“ ღმერთები
და ჩვენი წმინდანები).
აქ იყო იეგოვა,—
„შემოქმედი“ ცნობილი;
თხას რომ უგავს წვერები,
„მამა-ღმერთად“ ხმობილი.
საიდანღაც ეთერში
„სულიწმინდაც“ გამოჩნდა
და ღრუბელის ქულაზე
„მამის“ გვერდით ჩამოჯდა.
ანგელოზიც მოვიდა
გაბრიელი ჩანჩალით,—
„კომენდანტი“ ზეცისა —
გალესილი ხანჯალით!.
იქვე კუჭგამომხმარი,—
ვით მშიერი მწევარი —
იოსები—ღურგალიც
დაჯდა უმუშევარი.
მოიგონეს წარსული,
ძველი ბედნიერება,
როცა ჰყავდათ მორჩილი
ცა და ქვეყნიერება.
და შემდეგ საუბარი
გააგრძელეს ტკბილადა:
თუ ქრისტე-მაცხოვარი
ვის ეკუთვნის შვილადა.
—„გაგიტყდებით, წმიდანნო,—
სთქვა პირველად „მამამ“
და ტკბილი მოგონებით
თვალები გადანამა:—
— თუმცა ახლა შტაინახიც
ვეღარაფერს მიშველის,—
მაგრამ დამეთანხმება
ანგელოზი მიშელი,
რომ მარიამ თავიდან
იყო ჩემი მხევალი
და ვით მხევალს ეკუთვნის,
მომიხადა მე ვალი.
მაცხოვარი ამრიგად
ჩემი გაჩენილია,
ჩემი მხევლის ნაშობი,
ჩემი ლვიძლი შვილია“.
ამ დროს გაბრაზებული
წამოხტა სული წმინდა,
გადმოქაჩა თვალები
და ღორბლი მოიწმინდა;
დაიძახა: — ჩერჩეტო,
რა სიცრუეს ყრანტალობ?!
აბა შენ რას იზამდი,
როცა ძლივს დაბანდალობ?
ყეყეჩი ხარ და მუდამ
ჭკუამოკლე იყავი;
ბებრუხუნა, ქალთან რას
უნდა გამხდარიყავი?
ან ქრისტეზე ვინ დავობს,
ყველამ იცის თავიდან:
მარიამზე, ქალწულზე
სული რომ გადავიდა;
შენი სჯულიც მას ამბობს·
ბიბლიაში სწერია;
დაგავიწყდა, არ იცი,
აზრები აგერია.
მოიხრუკე, მოდუნდი,
ზაგილაყდა ტვინია;
მაცხოვარი—ვაცხადებ—
ჩემი ლვიძლი შვილია.
წამოვარდა ამ სიტყვებზე
გულმოსული გაბრიელი,
„ღვთის მშობლის“ პურ-მარილი
ნაცნობი და მადლიერი.
თქვა:—„რას მიედ-მოედებით?!
ვისი შვილი? რასი მამა?
შენ კი არა, ერთ ღამეს მე
დამპატიჟა მარიამმა;
ფეხ-აკრეფით შევიპარე,
ჩამეკონა გულში კოხტა,
და შემდეგ კი... ჰო.. საერთოდ
როგორც ხდება, ისე მოხდა.
ქრისტე ჩემი შვილი არის,
მართალია, არა ჭორი,
ეს დღეების ანგარიშით
ვიცი, როგორც [illegible]
„მე კი გეტყვით,— იოსების
ხმა მოისმა დაბლა ცრიდან:
ახალგაზრდა ქორფა ქალთან
რას გახდება სული წმინდა„
უსხეულო ანგელოზი.
ანდა ჩვენი ღმერთი „მამა“,
რომელიც სულ ცაში არის,
არც უნახავს ჯერ ქვეყანა.
გაბრიელი ურცხვად ლაყბობს·
„ქრისტე არის ჩემი შვილი,
ჩემი ცოლის პირმშო ვაჟი,
ჩემი ოფლით გამოზრდილი“.
ამ სიტყვებზე კი კრებული
წმინდანების ღვთაებრივი
გადირია და ერთმანეთს
დაერიენ მუშტი-კრივით:
— დასცხე მაგას!..
— ჩემი არის!..
— მ,ა თუ შენი!
— ხეპრე!... შტერი...—
გაისმა და წმინდანების
აირია მონასტერი.
სად იყავი ნეტავ მაშინ
ტარტაროზო, შენი ჯოხით
და ჩანგლით, რომ გენახა
„წმინდანების“ ცაში ღოლი?!
ავლაბარშიც ვერ ნახავდით
კვრივს, — ამბობდენ,— სადაოსოჯ
შენი შვილიც ხომ არ არის
ქრისტე-ღმერთი, ტარტაროზო?!

მედუზა.

# თავი „მოითავდაგლა“

ნახ. ტაბატაძის.



— ეს რაა, ივან პეტროვიჩ, ქვევითად.
— მა როგორ, დოროგოი ონისიმიჩ, ვერ უყურებ ამდენ კატასტროფას? ერთიც კენკოს,.. თავს ვარიდებ, რაღა: სული ტკბილია!..

# შვებულებაში

ავილე თუ არა ერთი თვის შვებულება, ჩემი ბარგი-ბარხანითა და შტატში მყოფ ცოლშვილით, სამტრედიის ვაგზალზე მატარებელში მოვთავსდით და სად. საჯევახოსაკენ მოუსვი, საჯევახოდან ჩემ სოფლამდე ურმით წავედით და საღამო ხანს ჩემს სახლის წინ გავჩერდით.

სოფელი ყოველთვის კარგია, მაგრამ შემოდგომაზე ხომ სულ ცხვრის დუმასავითაა მსუქანი.

თუ ბათუმში ფრთებ დამტვრეულ ბატივით დავჩანჩალებ, სოფელში მამალ ინდაურივით ვიბერები და ბრძენის პოზას ვღებულობ.

— აფერუმ ბიჭო, რა შვილი მოგესწრო! — ეუბნებიან მამაჩემს მეზობლები.

მეც ვეწვიე პირველად, რასაკვირველია, ჩემს მამულს (სადაც ათი ძირი ხე მიდგას შიგ); შემდეგ სკოლას, კოოპერატივს, გლეხკომს, თემკომს და, ერთი სიტყვით, ყველა კულტურულ თუ ადმინისტრატიულ დაწესებულებებს. თითქმის ყველა მათ მუშაობას ვიწუნებ ინსტრუქტორივით ახალ-ახალ დავალებებს ვაძლევ და გამოვდივარ.



სკოლაში რომ შევედი, მასწავლებელი მაგიდის ქვეშ შემძვრალიყო და იქიდან ასწავლიდა პარტებ ქვეშ შეძვრალ მოწაფეებს, ჭერიდან წვიმა ისე ჩამოდიოდა, როგორც მინდორში. ქოლგა, რომელიც კარებში შესვლის დროს დავხურე, შიგ გავშალე და ერთ აგურზე შევდექი, რომელიც იატაკზე მდგარ წყალში მოსჩანდა.

— ეს რა ამბავია? — გავიკვირვე მე.

— წვიმაა, ბატონო, ჩვეულებრივი!— მითხრა მასწავლებელმა, რომელიც მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა და ჩემს ქოლგის ქვეშ შემოიყუდა. ბავშებმა პარტების ქვეშიდან კუსავით გამოყვეს თავები და დამიწყეს ცქერა.

— კი, მაგრამ აქ როგორ შეიძლება სწავლის წარმოება? — შევეკითხე მე.

— ეს, რაა, ჩემო ბატონო, შარშან უნდა გენახათ, მინებიც რომ არ იყო ჩადგმული და ქარიც ქროდა, თორემ წელს მადლობა გამჩენს, არა გვიშავს! — სთქვა მან და სველი თმა გადაივარცხნა თითებით.

— მერმე და რას შვება სოფელი ან საბჭო რას უყურებს?

— თქვენ არ იცით, ბატონო, სოფელ ქვაყუდის ამბავი, თორემ ასე არ იტყოდით. საბჭო რას გააკეთებს! ერთხელ ამოვიდა თავმჯდომარე და მაშინაც მთვრალი და გალეშილი იყო; სკოლა კი არა, კაცის ცნობა არ შეეძლო.

—:—

მეორე ვიზიტი კოოპერატივში გავაკეთეთ. დაკეტილი დამიხვდა და გარედან თოკები ჰქონდა შემოვლებული.



— ეს რას ნიშნავს? — ვიკითხე მე.

— დღეს ამხანაგო, კოოპერატივის რევიზია აქვთ და ამიტომ დაკეტილია!— მიპასუხა ერთმა გლეხმა. მეორე დღისათვის გადავდე მისი დათვალიერება და იქავე აფთიაქში შევიარე.

პროვიზორი გლეხებს ახსნა-განმარტებას აძლევდა. ქალები ეკითხებოდენ: — ამ წამლის დალევის შემდეგ, რა ვჭამო? ლობიო თუ ეჭმევა? ხაპი ხომ არ აწყენს? ნიგვზიანი თუ ვჭამო? და სხვ.

პროვიზორი თავისებურად უხსნიდა:

— აჭამეთ რძე, წიწილი, ქათამი და თეთრი პური. ცხლათ არ შეიძლება, სუხრათ გაუხმეთ!... და სხვ. თითქმის ყოველივე ამას იქვე ურიგებდა მათ.

—:—

პროვიზორს ხალხი ძალიან ეპადლიერებოდა, უფრო ახალგაზრდობა აქებდა: „კარგი ქეიფი იცისო“. მეორე დღეს ისევ კოოპერატივში მივედი, მაგრამ მაშინაც დაკეტილი დამიხვდა, მხოლოდ თოკები არ ქონდა შემოვლებული.

— დღეს რაღად დაუკეტავთ? — ვიკითხე მე.

— დღეს ორშაბათია, ბატონო, და ისვენებენ! — სთქვა ერთმა ქალმა, რომელიც ნავთს ყიდულობდა იქვე კერძო დუქანში.

—დასვენებაც საჭიროა! — ვსთქვი მე და წავედი.

მიდიოდა დღეები და სულ ახალ-ახალი სიამოვნებას ვღებულობდი: აგერ ვილაცას ვილაცა მოკვდომია და სატირალს წამყოლხარ მაქტიკობს; აქეთ ვილაცა შვილს ნათლავს; იქით სტუმრები მოუვიდათ და მიწვევენ, როგორც „განათლებულ კაცს“ და სხვა. ამასობაში გავიდენ „დღენი სანეტარონი“ და დავიწყე ბარგება წამოსასვლელად. თქვენ უნდა თქვათ რა დღეში ჩავარდი. გაიგეს თუ არა მეზობლებმა, მიდისო, დაიწყეს ძღვენის ზიდვა.



— აი, ნენა, ოცი კაკალი ვაშლი მოგიტანე ნახელავად, შენთვის მქონდა შენახული! — მითხრა ერთმა მოხუცმა და ერთი კალათა ვაშლი წინ დამიდგა.

— ამის მეტი ვერაფერი შეგკადრე! მითხრა მეორემ და ორი ვეებერთელა. გოგრა დამიგორა წინ.

— ჩემს ნახელავად წაიღე ეს ოცი ოდე ბია! — მომიტანა მესამემ. მას მოყვა სხვებიც და ჩემი სახლი სახილე დუქანს დაემსგავსა. ძღვნის მოტანის შემდეგ, უკვე იწყებოდა დავალებები:

— ერთი თავშალი ჩემს თავს ნუ გირჩენია! — ამბობდა პირველი.

— კოვერკოტის საკაბე მიყიდო იქნება და, თუ შევიძელი, სამაგიეროს გადაგიხდი! — მთხოვდა მეორე.

— ვიქტორიის ჩულქი გამომიგზავნე ერთი - ორი წყვილი და, რომ ამოხვალ, შენი პატივისცემა ჩემზე იყოს! — მავალებს მესამე.

ვის ადგილზე დადგომა უნდა და ჩამოსვლას მპირდება, ვინ საბანაოდ მოდის ზღვაზე და, ჩემი პატივისცემის გამო, ჩემს იქით არსად ჩამოხტება, ვის არტისტობა მოსურვებია, და ვასო ურუშაძესთან მთხოვს შუამდგომლობას, ვის მწერლად უნდა გახდეს და უნდა ვასწავლო გაზეთში წერა, ლექსების გამოთქმა და სხვა.

შესრულება, თორემ შეპირებით ყველას შევპირდი და ჩემი ბარგი-ბარხანით ძლივს დავაძვრინე თავი სოფელს.

ბ. ობოლი.

# „საშუალო ცოდნა"

ამას წინად სრულიად შემთხვევით შევიარე ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსალებ ქარხანაში, სადაც ქარხნის გამგესთან შემოდიოდენ მთხოვნელები და გამგეს თხოვნას აძლევდენ სამსახურში მიღების შესახებ.

ჩვენ სანიმუშოდ გადმოვსწერეთ და აქვე ვათავსებთ ზოგიერთ განცხადებებს:

### ოზურგეთის ქარხნის გამგეს განცხადება

როგორც ვატყობ, თქვენი ქარხნის მეტაბელე რ. დოლიძე მოხუცებული უნდა იყოს, რის გამოც, ცხადია, გავა პენსიაში (ან ეგებ სხვა რამე შეემთხვეს). ამიტომ გთხოვთ. მის შემდეგ, მის ადგილზე მე დამნიშნოთ, დამთავრებული მაქვს ოზურგეთის ცხრა-წლედი.

პეტრე ჭიჭლაყაძე.

### ქარხნის გამგეს ამხ. კალანდაძეს განცხადება

მოგახსენებთ, რომ მე მაქვს დამთავრებული ცხრა-წლედი ოზურგეთში, აგრეთვე გავიარე საბუჰალტერიო კურსები. როგორც გავიგე (ამხანაგმა მითხრა) თქვენდამი რწმუნებულ ქარხანაში საჭიროა სტატისტიკოსი, რომლის თანამდებობაზედაც, ღმერთსა და დედმამას ვფიცავარ, ამ ოზურგეთში ჩემზე უკეთეს ვერ იშოვით. ამიტომ გთხოვთ აუცილებლად უნდა მიმღოთ.

ვერა კუდაბზიკა.

### ოზურგეთის ქარხნის გამგეს განცხადება

ვინაიდან მამაჩემი იყო რევოლიუციონერი (ალბად, ბაბუაჩემიც იქნებოდა), ვარ კავშირის წევრი, რემიდასის, ურთიერთ დამხმარე სალაროს, ავიაქიმის და სხვა, აგრეთვე კედლკორი, — ამისათვის გთხოვთ შავ სამუშაოდან გადმომიყვანოთ შესაფერ თანამდებობაზე, თუ გინდ მეტაბელ რ. ჯინჭარაძის ადგილზე, რომელიც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ან სხვა რამეზე. დაბოლოს გაცნობებთ, რომ მე წელს დავამთავრე ოზურგეთის ცხრა-წლედი.

კალენიკე ხინკილაშვილი.

გამგის კაბინეტიდან შევედი ამხ. თოიძესთან, რომელიც გამოცდას უშვებოდა სტატისტიკაში ერთ მთხოვნელს.

— კარგი! ეს უბრალო ამოცანა ნაწევრებზე მაინც გამოიყვანეთ!

— უი, ბატონო, მასეთები ახლა სადღა მახსოვს? ზაფხულზე დავასრულე ჩვენი ცხრა-წლედი და მას შემდეგ ქე დამავიწყდა!

სიცილი შემსკდა და გარედ გამოვედი.

ალი.

ნახ. ტაბატაძის.



— სასადილო კი წითელია, მხოლოდ მუშებს აყენებს შავ დღეს.

---როგორ?

— როგორ და თუ კერძო დუქანში ბევრად უკეთესი კერძია 70 კაპ. ღირს, აქ კი უარესი—1 მანეთი.

## ორი იასონი

### ხაშური

ორი იასონ ერთმანეთს
გადაეკიდენ ძალზედა;
თუ კი შემთხვევა მისცემდათ,
ხელი მზად ჰქონდათ ხმალზედა.
ამბობდენ: — ვაი იმის ტყავს.
თუ კი მივუხტი კარზედა,
თავს მოვაცილებ ქათმივით
და ჩამოვკიდებ სარზედა.

თანამდებობა იმათი
მსხვილი იყო და მსუქანი;
ყველაფერს სთვლიდენ თავისთვის,
როგორც თავისი დუქანი.

მუშების საკეთილდღეოდ
არც ერთი არა ფიქრობდა;;
ჯამაგირს იჩხრიალებდენ,
დრო კი უსაქმოდ მიჰქონდა.

მაგრამ მუშკორმა თვის კალმით
მათ მიაყენა ჭრილობა..:
აქ ჩამოშორდენ ერთმანეთს,
აღარა ჰქონდათ ცილობა
გამომზეურდა გაზეთში
იასონების გმირობა;
ეხლა არავინ აქებდა,
ისმოდა მათი ძვირობა.

დაითხოვეს, მიაბრძანეს,
წაუკითხეს პარაკლისი;
თუ უთქმელი კიდევ დაგვრჩა,
შემდეგ იყოს დანაკლისი.

ჩახრუხაძე.

## ყოფილი გამგის

### საზამთრო ღიღინი

ვხედავ, ვხედავ დაგვიზამრთდა.
მომაგონდა მე ზამთარი!
მომაგონდა გამგედ ყოფნა,
პორტფელი და ავტო ჩქარი.

მახსოვს, როცა გამგედ ვიყავ,
კაბინეტი მქონდა თბილი,
ლამაზებთან დროს ტარება,
ოხუნჯობა და სიცილი.

თავს ვიყრიდით ჩემს ბინაზე,
ვქეიფობდით ერთად ყველა,
გადაბრუნდა ჩემი საქმე:
კოტრიალა... კოტრიალა...

მახსოვს ბოლოს ისე, „ცოტა"
ალმომაჩდა გაქაფული
და ეხლა კი რუსთაველზე
დავალ პანღურ, ამოკრული...

ირგვლივ მთები შემოთოვა
და მწყრალად ქრის ცივი ქარი,
წინად ორი პალტო მქონდა,
ეხლა ერთიც არსად არი.

გულში თითქო ყინვა დნება,
ახი არის ჩემზედ, ახი...
რა მიჭირდა, რომ ვქაფავდი,
ცოტა მქონდეს შენანახი!

იანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაგიკული შემთხვევა

## („ნამდვილი ამბავი“)

დიახ, ნამდვილ ამბავს მოგახსენებთ... ჩემი საკუთარი ყურადღებით დავინახე და თვალებით მოვისმინე ის ამბავი, რომელსაც ეხლა მოგახსენებთ ჩემო საყვარელო მკითხველო. „ახ, ნეტავ ნეტავ მე ეს ამბავი არ მენახა და თუნდ ზეცით ჩემს მოსისხლე მტერს შევყროდი“.

რა გაცინებთ, მოქალაქენო! ნუ თუ ყველაფერზე უნდა იცინოთ?.. ან შეიძლება თქვენ გგონიათ „ტარტაროზი“ ყოველწუთში სიცილის გუნებაზეა... ეს ამბავი სრულებით არ არის სასაცილო. აქ ტირილია საჭირო, ტირილი. ხუმრობა ხომ არ არის ოჯახის დაღუპვა, მერე როგორი ოჯახის?..

დიანოს სეფერთელაძის ამბავზე ვლაპარაკობთ. შეიძლება არაფერი იცით ამ საქმის შესახებ? ამიტომ ური გო არ იქნება გაგაცნოთ იმ ტრაგიკულ შემთხვევას, რომელმაც დაღუპა დიანოსას ოჯახი. დიდი ხანი არ არის, რაც ამ შემთხევას ადგილი ქონდა ტფილისში.

სეფერთელაძე მაშინ სტამბის გამგეთ ირიცხებოდა და მშვენივრად სცხოვრობდა თავის ბედნიერ ცოლშვილით.

180 მანეთი ჯამაგირი თამამად ყოფნიდა დიანოსას ცოლს და მის სამ პატარა ბავშვს.

ამ ზამთრისათვის დიანოსამ ერთი საჟენი შეშა წინ და წინ მოიმარაგა, ბავშვებს თბილი ტანისამოსი შეუკერა და ცოლს თავშალი უყიდა... თავის თავისთვისაც არ დაუკლია პატივისცემა. კარგი გამგე იყო სეფერთელაძე, მუშები სულ მის მზეს ფიცულობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. თავის მხრივ დიანოსიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მალე საერთო მადლობაც დაიმსახურა.

ამას წინათ თვის პირველ რიცხვში მუშები გარე შემოეხვნიენ მზრუნველ გამგეს.

— ამხანაგო დიანოს, დღეს ჯამაგირი ხომ იქნება?..

— სპეცტანისამოსი დაგვეხა, ამხ. დიანოს!

— შეშის ფულს როდის მოგვცემთ? ასეთ შეკითხვებს ზედი-ზედ აყრიან მუშები გამგეს.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, ყველაფერი იქნება, ყველაფერი დაგირიგდებათ, მე ეხლა ხაზინაში წავალ და ფულს მოვიტან ჯამაგირების დასარიგებლად.—ეს თქვა დიანოსმა, პორტფელი ხელთა აიღო და წავიდა ხაზინაში.

უკვე დაგვიანებული იყო, როდესაც იგი ხაზინაში მივიდა. უზარმაზარი რიგი იყო სალაროს წინ... რა უნდა ექნა დიანოსას, ჩადგა იგიც რიგში. საღამოს 5 საათი იქნებოდა, როცა მან ფული მიიღო, ჩააწყო პორტფელში და ჩქარი ნაბიჯით გამოსწია სტამბისაკენ.

საკმაოდ დაღამებული იყო, როდესაც მივიდა სტამბაში. აქ მას არავინ დახვდა. რადგან მუშებს სამუშაო გაეთავებიათ და სახლში წასულიყვნენ. დაღონდა გამგე... ძალიან უნდოდა იმ დღეს ჯამაგირის დარიგება, მაგრამ რაღას იზამდა, წავიდა სახლში და რადგან სტამბის კანტორა დაკეტილი დახვდა, მიღებული ფული თან წაიღო.

გარეთ ცივი ქარი უბერავდა. წვიმდა და ხან თოვდა კიდეც. დაღლილ დაქანცული დიანოსი მიადგა სახლს და შევიდა ოთახში, სადაც მცირეწლოვანი ქალ-ვაჟი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ და ხტუნავდნენ.

— ბაბა მოვიდა, ბაბა მოვიდა.—ერთხმად შეიძახეს ბავშვებმა და დიანოსს ყელზე ჩამოეკიდნენ.

— კარგი, ბავშვებო, გეყოფაათ, გვრიტებოო. ამბობდა დიანოსი და ინთავისუფლებდა თავს ხვევნა-კოცნისაგან.

გაიხადა მან პალტო, პორტფელი თავის ადგილას დასდო და გავიდა მეორე ოთახში, სადაც დიანოსას ახალგაზრდა ცოლი პატარა ბავშს ტანსა ბანდა.

იქვე რკინის ღუმელი საამურად გუგუნებდა და ირგვლივ ცხოველ მყოფელ სითბოს აბნევდა. უზარმაზარ ქვაბში წყალი დუღდა.

რა მშვენიერი იყო ის წუთები დიანოსისათვის. ცოლიც რაღაც ლამაზად ეჩვენა მას. კედლებს თითქო სადღესასწაულო ფიქრი ედო.

— ქალო ბავშვი არ გაგიცივდეს, თბილად მოახვიე საბანი, ტანი რომ დაბანო. მიმართა დიანოსამ ცოლს, მიუახლოვდა მას და ლოყაზე აკოცა.

— კაცო, რატომ ხარ მოუთმენელი, რა დროის კოცნაა, ხომ ხედავ საქმეს ვაკეთებ... შენ ეხლა მოშივებული იქნები, გადი მეორე ოთახში, ჭამე სადილი, დღეს მშვენიერი საცივი გავაკეთე, შენ რომ გიყვარს, ისეთი...

— უჰ, შენ გენაცვალე მატრონე მაგ სახეში, ჩემი მოვლა რომ გიყვარს, ამიტომ მირჩევნიხარ ყველას, მე შენ არასოდეს არ გიღალატებ, დღეს ჯამაგირი მთლიანად შენ მოგიტანე.—აღტაცებით წარმოსთქვა დიანოსამ და ისევ მაგრამ ჩაკოცნა ცოლი, რომელიც ეხლა უკვე აღარ ეწინააღმდეგებოდა.

დიანოსა გავიდა მეორე ოთახში სასადილოთ, მაგრამ...

ჰო, საშინელებავ!!!

ეს რა უბედურება დატრიალებულა მის თავზე!.. ხომ დაიღუპა საწყალი სამუდამოდ!.. ხომ დააპატიმრებენ ეხლა მას!?.

ბავშვებს ჩამოუღიათ პორტფელი კედლიდგან და ჩერვონცების კორიანტელი დაუყენებიათ ოთახში. 50 ათი ათასი მანეთი სულ დაუხევიათ, დაუფხრეწიათ და ნაკუწნაკუწად უქცევიათ... ბუხარში ჩერვონცების ცეცხლის ალი მაღლა ადიოდა.

— დავიღუპე, მიშველეთ!—საზარლად დაიღმუილა დიანოსამ, სწრაფად გაითვალისწინა მომავალი უბედურება ციხე. საბრალდებულო სკამი...

დიანოსას ღმუილმა მიიქცია მიიქცია ქალის ყურადღება. დასვა მან ბავშვი ფანჯარაზე და გამოვარდა მეორე ოთახში, სადაც საზარელი სურათი წარმოუდგა თვალწინ: ორი ბავშვი მკვდარი ეგდო იატაკზე, მხოლოდ დიანოსა დაფოთხავდა მიწაზე და ჩერვონცების ნაკუწებს ერთმანეთს აწებებდა.

— უუუუიმე, უუიმე!—ცივი ხმით იკივლა ქალმა და გულშეწუხებით შეიჭრა თავის ოთახში, სადაც კიდევ უარესი საშინელება წარმუდგა თვალ წინ: პატარა ბავშვი ფანჯრიდან პირდაპირ მდუღარე ქვაბში ჩავარდნილიყო და მოხარშულიყო.

შეშლილი ქალი შეიჭრა ისევ ქმართან და დაუწყო მას წიხლების ცემა. თავის მხრივ დიანოსი კიდევ უფრო შეშლილივით ისროდა წიხლებს, რომელიც საბრალო ქალს, (რომელსაც ღრმა ძილით ეძინა) მუცელში ხვდებოდა.

— რა ეშმაკი და უხილავი შეგიძვრა მაგ თავში, კაცო, რა სიზმარი ნახე ასეთი, რომ ვირივით ღრიალებ? წყრომის კილოთი მიმართა ცოლმა დიანოსას, რომელსაც საბანი სულ გადაეხადა, ისროდა წიხლებს და ყვიროდა: „ფულები, ციხე, სამსახური“.

მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ცოლმა ხელი ჰკრა. თვალები მოიფშვნიტა დიანოსამ და დაინახა თავისი დალევრემილი ბინა. სადაა თბილი ოთახები, ჩერვონცები...—კიდევ კრგი რომ, სიზმარი იყო.

დილის 9 საათი იქნებოდა, როდესაც დიანოსი ადგა, თავისი დაფხრეწილი პალტო ჩაიცვა და შრომის ბირჟის კარებს მიადგა.

— კარგი სიზმარი იყო, დღეს უსათუოდ გამაგზავნიან სამუშაოზე!—ეუბნებოდა ცოლს წასვლის წინ.

თავქარიანი.

# ცნობათა მიღება



**ჟვავილს.** თქვენს კორესპონდენციაში: „დიდი მიღწევები ბათომის რკინის გზაზე“, თქვენ სწერთ:

„შევდივარ კლუბში მეშლება დავთარი
იძინებს კლუბი ზამთრის სეზონში
გაზეთის კითხვა მსურს, გაზეთი სად არის
დაკეტილია, ვერ შეხვალ სამკითხველოში“-ო.

ცნობილია, რომ ლექსებს ყვავილები კი არ სწერენ, ან მღერიან, არამედ ყვავილთა მოტრფიალე არსებანი. ამ შემთხვევაში კი ხდება წინაალმდეგ. ეს ერთი სიძნელე. მეორე სიძნელეა თვითონ დრო. როგორც თქვენსავე ლექსში მოხსენებული, ამბავი ხდება ზამთრის სეზონში .ცხადია, დრო მეტად არახელსაყრელია ყვავილისათვის, ესე იგი, თქვენთვის. ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ჩვენმა სარედაქციო გიდორმა.

**ზებარდელს.** თქვენს „აჯაბსანდალში“ თქვენ სწერთ:

„ბორჯომსკზე მივალ დღეს ვაშლისათვის
მე ქალაქ გორში,
შენ, ჩემო ლექსო, თუ არ ჩავარდი
წყეულ გოდორში“-ო

რაც მართალია, მართალია: თქვენი ეჭვი გამართლდა!.

**გრ. ევგენიძეს.** თქვენ გვწერთ სილაურის შესახებ ლექსად ასე:

„ტარტაროზს მინდა ვაცნობო
ჩვენი ოთხწლედის ამბავი,
ჩამოვიარე, ტარტაროზ,
ოთხწლედში არის ზლაპარი“-ო

ჩვენ ვფიქრობთ—და ეს ასეც არის—ოთხწლედში შეიძლება ზოგჯერ ზღაპარს ისმენდენ მოწაფეები. ამრიგად ზღაპარი არ არის იმდენად მავნებელი, რამდენადაც ის სინამდვილე, როცა მასწავლებელი დამთვრალი მოდის სასწავლებელში. თუ ეს მართალია, მაშინ ბედნიერად ჩასთვალეთ თავი, თუ „ოთხწლედში მხოლოთ ზღაპარია“.

**ლადო სიკინჩილაძეს:** თქვენ გვწერთ ლექსად ასე:

„ერთხელ თურმე ოქროს ქედში
ცხვარი, მგელი ერთად სძოვდა
და მართალი რომ გითხრათ
ხალხისთვისაც ასე სჯობდა“-ო.

ოღონდაც! ოქროს ქედიც, ალბათ, იმიტომ რქმევია თქვენს სოფელს.

**დათ. ხონელს.** თუ მებაყლე კოლა

„დამპალ ხილებში ის ფულს აიღებს
თავს აძლევს სრული ნებასა“,

ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც კერძო ვაჭარს, ასეთ კაცს უნდა ერიდოთ ხალხი. „ტარტაროზმა“ ეს ზედმიწევნით იცის და ამიტომ არც დამპალს ხილს აჭლებს გარეშთაგან არც ასეთსავე ლიტერატურულ ნაწარმოებს. იცავს რადაც სისუფთავეს, რაც კოლას ჰკლებია, როგორც თქვენ იწერებით.

**ოუენს:** თქვენ ასე იწყებთ თქვენს კორესპონდენციას:

„სერგო ზიფერტი გახლავს
სახელოვანი ბიჭი
სხვა საქმეებთან ერთად
აქვს მოტყუების ნიჭი“-ო.

სულ არაობას, რასაკვირველია, ისევ ეს ნიჭი სჯობია. აი, ზოგი მოლექსე ჩვენს მოტყუებასა ცდილობს, უნდათ დაგვაბეჭდინონ თავიანთი ნაწარმოებები, მხოლოთ საამისო ნიჭი, ეტყობა, რომ მათ მაინც არ შესწევთ. რომ შესწევდეთ, ჩვენც ვიტყოდით, რომ „აქვს მოტყუების ნიჭი“-თქვა.

**გახურებულ შამფურს.** მართალია, გახურებულ ფურნესთან ხდება ეს ამბავი, მაგრამ, თქვენ რომ „შამფურს“ უღერთ, ის „წერო“ ჯერ ისევ ცაშია.

**პარდომს.** თუ თქვენი პალტო ახლაც დადის და ილანძღება, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არა არქეოლოგიური ეკზემპლიარია, როგორც თქვენ იწერებით, არამედ არქიხულიგანური. ამ მხრივ შესასწორებელია თქვენი კორესპონდენცია. სხვა მხრივი კი... სხვა საქმეა.

**დათილი პუსკი-ს.** მივიღეთ თქვენი ვრცელი ნაწარმოები „პაროდიები მწერლებზე“. კარგია შიგ განყოფილება „ყანწელთა“ შესახებ. აქედან ვსტოვებთ ადგილს ტიციანის შესახებ:

„მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“
...„და დამპატიჟეს შემდეგ არაყზე“-ო.

ვსტოვებთ მხოლოთ იმიტომ, რომ ასეთი აქტის შესრულება ასი პროცენტით მხოლოთ „ყანწელს“ შეუძლია.

**მელა-კუდას.** (ვინაიდან ჩვენ ნამდვილი „მელა-კუდა“ სხვა გვყავს თანამშრომელი ,ეს ახალი „მელა-კუდა“ გახლავთ და პირველიდან იმითი განსხვავდება, რომ ნიგოითელია) თქვენს კორესპონდენციაში: „საკუთარი რევიზია“ საინტერესოა ცნობა ესტატეს შესახებ, რომელიც, ქვიანის მაგივრად, საჯავახოს ბილეთს იძლევა, ხოლო ხურდას ამ შემთხვევაშიც კი არ აბრუნებს, რათა ტრადიციას არ უღალატოს.

ჰაი-ჰაი, ესტატე, ესტატე, როგორ გეშართებათ ეს ასთე, ა?!

**ბიჭას.** თქვენ სწერთ თქვენს იუმორისტულ ამბავში: „შუშუიას და სხვების მეცნიერება“-ში, რომ

„რაშია საქმე და ტიხონიამ სთქვ ა:„ძველმა სტუდენტებმა მითხრეს: უნივერსიტეტში მიღებაზე უფრო ძნელია შიგ გაძლებაო“. ამაზე ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ. ყველასათვის არც მიღებაა ძნელი და არც გაძლება ამ დალოცვილ დაწესებულებაში. თუ თქვენ ისეთი ყინმე გყავთ „შიგ“ ან „გარეთ“ ,ვისი მეოხებითაც სტიპენდია გენიშნებათ, მაშინ „გაძლებაც“ ისევე ადვილია, როგორც თქვენი იქ მიღება იყო.

**ხონის კაინტერის ამბავის ავტორს.** რასაც თქვენ სწერთ, შრომის ინსპექტორის საქმეა. ჩვენ მოგვმართავ: „ტარტაროზო შეეკითხე, თუ გამოიტან სწორ აზროვნებას“-ო. თქვენი ნაწერიდან სწორი აზროვნების გამოტანა მართლაც ძნელია. „ხაზეინი“ კაცის „სწორი აზროვნება“ კი მიუღებელია საბჭოთა სინამდვილეში.

# თავაზიანი მგზავრი

ნახ. დონის.



— აბა, გამატარეთ, ბილეთი უნდა გავყიდო!
— მიბრძანდით, ამხანაგო!

**განიგანს.** დიდი კუხის შესახებ კორესპონდენციაში თქვენ გვწერთ:

„მე ამ ლექსის სტრიქონები
მხურს ავაგო სიმართლეზე
და ეს ტყვილი თუ გამოდგა
მსჯივრს დადებენ ალბათ ჩემზე“-ო და შემდეგ:
კომკავშირის წევრებიდან
კარტს თამაშობს თითქმის ბევრი
ალბათ მათ სურთ განაახლონ
ჩვეულება ძველის ძველი“-ო

—„ტყუილის მთქმელს რომ ყური უგდოთ, დღეში ასჯერ გატყდება“-ო, ამბობს ხალხური სიბრძნე. კომკავშირი თუ კარტს თამაშობს, ძველი ჩვეულება კი არ არის, არამედ სრულიად ახალი მოვლენაა; იმაზედ კიდევ უფრო ახალი, ვიდრე თვით კომკავშირია. ცხადია, ტყუილად არ რქმევია თქვენ სოფელს „კუხი“ და ისიც — „დიდი კუხი“, რაც გურულ კილოკავზე ნიშნავს „მკვახე“-ს!...

**კულუმბურს.** გომის თემის შესახებ გვწერთ და ასე იწყებთ:

„ნუ მძრახავ, თუ ვერ ვსწერ სრულად
მას, რაც რომ დასაწერია
მიზეზი მე არ ვიქნები
მიზეზი კალმის წვერია“-ო.

სამცარიია: მთელი წერილი ფანქრით არის ნაწერი და კალამი რაღა შუაშია!.. თუ ვერც ერთი თემალმასკომის თავმჯდომარე ვერ გამოადგა სოფელს, აქაც კალამი არაფერ შუაში არ გახლავთ. წარმოიდგინეთ, მდივნის უვარგისობაც არ არის კალამის ბრალი. კარგია თქვენს ლექსში შემდეგი ტაეპი, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

„დამტარებელი ერთი გვყავს,
სახელად ჰქვია ბენია,
სიმართლე გითხრათ, ეს თემი
მას ბევრჯერ მოურბენია“-ო

არც ისე უმოქმედო ყოფილა თქვენი თემი. კარგი დამტარებელიც კარგია.

**ქორეთელს.** შარადა კარგათ აგიწყვიათ, მხოლოდ შიგ სატარტაროზო ვერა ვნახეთ-რა. არც თუ შარადის საგანს (ზამთარი) უჩანს ჯერ-ჯერობით საამისო პირი. ვნახოთ, შემდეგ რა იქნება. ხალხის სიბრძნე ამის შესახებ ასე ამბობს: „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებ“-ო.

...იბრაფტრესტის მე-ნ-ე სტამბა, კამოს ქ. № ..

# იმპერიალისტურ დიპლომატიის „ფონზე“

ნახ. ნადარეიშვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა




პირობები ნაცვეთია —
პოლიტიკა ასეთია.